ᲕᲐᲛᲠᲐᲕᲚᲝᲗ ᲒᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲝᲗ!

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ

201 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ

○ ○ ○

ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲣᲥᲣᲠᲔᲑᲘᲐ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲔᲑᲘ, ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ, ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ

○ ○ ○

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲔᲡ

43.695 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ,

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲛᲐ —

20.512 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ

○ ○ ○

ᲓᲔᲓᲐᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ

ᲕᲘᲙᲘᲡᲠᲔᲗ, ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ

ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘᲪ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲣᲧᲕᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ. ᲬᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲔᲡ 8.072 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ. ᲒᲔᲒᲛᲐ ᲙᲘ 7.400 ᲢᲝᲜᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐᲡ ᲣᲫᲦᲔᲜ ᲓᲐᲒᲐ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲡ. ᲛᲐᲗ ᲜᲐᲙᲘᲡᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ: 240 ᲢᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲔᲡ 330 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ.

ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲐᲠᲗᲜᲘ 105 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡᲔᲡ, ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 74 ᲢᲝᲜᲘᲡᲐ. ᲓᲘᲓᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲛᲐ 240 ᲢᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ — 302 ᲢᲝᲜᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲣᲨᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲕᲘᲬᲧᲔᲗ. ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲕᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲗ 180 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲕᲔᲜᲐᲮᲡ. ᲡᲐᲕᲔᲜᲐᲮᲝ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ, ᲡᲐᲭᲘᲠᲘᲡᲘᲡᲐᲓ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲘ ᲕᲐᲖᲘ.

Ⲥ. ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔ-ᲨᲣᲥᲣᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲗᲐᲜ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲔᲑᲘ

ᲐᲛᲮ. Ⲑ. ᲙᲮᲘᲐᲕᲠᲘᲫᲘᲡᲗᲐᲜ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲔᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲣᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ. ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲜᲐᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲛᲝᲰᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲛᲩᲜᲔᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ. ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲐ.

ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲔᲡ 10.727 ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲐᲜᲣ ᲒᲔᲒᲛᲐᲖᲔ 1.092 ᲢᲝᲜᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ. ᲒᲐᲡᲘᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ. ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲔᲡ 5.213 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ. ᲒᲔᲒᲛᲐ ᲙᲘ 3.700 ᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲧᲘᲓᲕᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲭᲐᲚᲘᲡ, ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ, ᲩᲐᲮᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ, ᲝᲙᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲩᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ 36.647 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 26.780 ᲢᲝᲜᲘᲡᲐ.

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Გ. ᲯᲐᲜᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ) ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔ Შ. ᲗᲐᲜᲓᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Ⲑ. ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲐᲫᲔᲘᲡᲐ.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲔᲚᲘ | № 265 (12473) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲝ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 45-Ე ᲬᲚᲘᲡ�თᲐᲕᲘ. ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝ ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲔᲡ ᲐᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲗᲐᲠᲘᲦᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ, ᲐᲒᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 45-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ. ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲔᲡ 43.696 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ, ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡᲗᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ — 20.512 ᲢᲝᲜᲐ, �გᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲛᲐ — 10.727 ᲢᲝᲜᲐ.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲨᲘ ᲛᲪᲘᲝᲕ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ. ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐᲜᲐᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲡ. ᲡᲣᲚ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲘᲡ ᲪᲣᲚᲘ ᲪᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ ᲛᲔᲪᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲡ. ᲡᲣᲚ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲘᲡ ᲪᲣᲚᲘ ᲪᲮᲚ

პარტიული ცხოვრება

ორგანიზაციორული მუშაობის ძალა

ბოლნისის ტერიტორიული საწარმოო სამმართველო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მდიდარ შესაძლებლობათა ზონაა. მისი ტერიტორია საქართველოს უკიდურესი სამხრეთი ნაწილიდან თრიალეთის მთებამდეა გადაჭიმული.

სკკპ XXII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ინტერესები მოითხოვს არსებითად გავაუმჯობესოთ სოფლად პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, ყოველდღიურად აღვზარდოთ სოფლის მშრომელები შრომის საუკეთესო ნიმუშებსა და მაგალითებზე, ვასწავლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური ზრდის ხერხები და მეთოდები, მაქსიმალურად გამოვიყენოთ რეზერვები.

სოფლის მეურნეობის მართვის ახალი სისტემის მთავარი არსი ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობაშია. გამოცდილებით დავრწმუნდნი, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაღალი შრომითი მაჩვენებლების მოსაპოვებლად საჭიროა ავამაღლოთ თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, გავზარდოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი, რათა მათ კომუნისტური სიუხვისათვის ბრძოლაში გაიყოლიონ მთელი კოლექტივი და წარმატებით გაანადგურონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ბოლნისის რაიონის ლენინის სახელობის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში წლების მანძილზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაბალ მოსავალს იღებდნენ, ჩამორჩებოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ამ არტელის 80-ზე მეტი კომუნისტი და ასობით კომკავშირელი ურიგდებოდა ჩამორჩენას.

პარტორგის ინსტრუქტორი უ. ქართველიშვილი რამდენიმე დღეს დარჩა კოლმეურნეობაში, აღგილზე დეტალურად გაეცნო ცალკეული ბრიგადების საქმიანობას, აწონ-დაწონა არსებული შესაძლებლობები, ესაუბრა კომუნისტებს. ამის შემდეგ აქ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის საკითხი პარტიულ კრებაზე განეხილათ.

პარტიულ კრებაზე გულახდილი საუბარი გაიმართა იმ ამოცანების გამო, რომლებიც კომუნისტებმა, სოფლის მეურნეობის თვითეულმა მუშაკმა უნდა შეასრულოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განსახორციელებლად. გამოირკვა, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელში მოისუსტებდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, კომუნისტთა ერთი ნაწილი თავს არიდებდა კოლმეურნეობაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, პარტიული ორგანიზაცია და კოლმეურნეობის გამგეობა კი ურიგდებოდა ასეთ მდგომარეობას. პარტიულმა კრებამ მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობის შემადგენლობის გადახალისება. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ენერგიული მუშაკი, უნარიანი ორგანიზატორი ა. ნოგრუზოვი იქნა არჩეული, რომელიც მანამდე ბოლნისის რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ მუშაობდა და სურვილი გამოთქვა წასულიყო თავმჯდომარედ ეკონომიურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში.

კომუნისტებმა პარტიული ბიუროს შემადგენლობაც გადაახალისეს და მდივნად ს. ალიევი აირჩიეს. პარტორგის ინსტრუქტორმა და სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორმა გაძლიერეს დახმარება ახალ არჩეული მდივნისადმი. მშრომელ მასებთან სიახლოვემ, მათი ფიქრებისა და გულისნადების გაზიარებამ, ცხოვრების შუაგულში ყოფნამ სასურველი შედეგი გამოიღო. კოლმეურნეობაში საქმე გაყინული წერტილიდან დაიძრა. წელს აქ თავთავიანი კულტურები 391 ჰექტარზე მომკეს და თვითეულ ჰექტარზე 3,2 ცენტნერით მეტი მოსავალი გალეწეს შარშანდელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ წელს აქ მოსავლის აღება და ნამჯის შეგროვება ბევრად უფრო შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრეს, ვიდრე რომელიმე წინა წელს. უფრო მეტიც, წელს კოლმეურნეობაში 400 ტონა თივა დაამზადეს გასული წლის 80 ტონის ნაცვლად, საქმაოსი ალფალფოთი მოიმარაგეს ლიღნოი და სხვა სახის საკვები პირუტყვისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ბოლნისის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში გაერთიანებული საბჭოთა მეურნეობები. მარნეულის რაიონის ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი რ. ჩიგოგიძე) დიდი მუშაობა გასწია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების პერიოდში. პურეულის აღებისათვის მზადების საკითხი პარტიულმა კრებამ ჯერ კიდევ მაისის პირველ რიგხვებში განიხილა. დასახულ ღონისძიებათა შესრულებაში მასობრივად ჩააბეს კომუნისტები, მეურნეობის მთელი კოლექტივი. ბრიგადებსა და უბნებში შეიქმნა პარტიული კონტროლის კომისიები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ კომბაინების მუშაობას, ამოწმებდნენ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს.

ამის შედეგად ყულარელებმა თავთავიანი კულტურების სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს. თავთავიანი კულტურების აღებისთანავე მეურნეობაში ფართოდ გაჩაღდა სიმინდის თესვა ნაწვერალზე.

წელს ყულარელმა მშრომელებმა დიდ ფართობზე — 60 ჰექტარზე დათესეს სიმინდი ნაწვერალზე, რადგან პრაქტიკულად დარწმუნდნენ, რომ მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე ნაწვერალზე დათესილი სიმინდის მაღალი მოსავალი მოდის.

ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მაღალი შრომითი მაჩვენებელები მოიპოვა სახელმწიფოსათვის ზეგეგმითი პროდუქციის მიყიდვის საქმეში. დიდი გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის მყიდვის დავალება, ხოლო სამშობლომ ყულარელთაგან მიიღო 799 ტონა ზეგეგმითი ყურძენი, რაც არც ერთ წელს არ მომხდარა საბჭოთა მეურნეობის არსებობის ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ აქ მიღწეულს არასოდეს არ სჯერდებიან. ყულარელი მშრომელები სამმართველოს ზონის მეურნეობებს შორის პირველნი გამოვიდნენ თითო ძროხაზე 15 ტონა სილოსის დამზადების ინიციატორებად. ამ საქმეში ფართოდ გამოიყენეს პროგრესული მეთოდები და ხერხები. სიმინდის მწვანე მასა დაასილოსეს ნამჯასთან ერთად შარდოვანას გამოყენებით, რითაც დავალება პირნათლად გაანადგეს. კარგად ზრუნავენ ახალი ვენახების გაშენებისთვისაც. მარტო წელს ზარეს 100 ჰექტარი ახალშენი შეემატა.

ნაყოფიერად შრომობს დმანისის რაიონის ყარაბულაღის მერძეველობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. აქ ბევრი რამ გაკეთეს საკვები ბაზის განსამტკიცებლად, ქმედითი ღონისძიებები განახორციელეს ბარდის, პარკოსანი და მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების გასადიდებლად. დმანისელმა მეცხოველეებმა ათობით ჰექტარ ფართობზე დარგეს ჯარხალი.

ყარაბულაღელ მშრომელებს არც ბუნებრივი სათიბები დავიწყებიათ. მათ წელს ასობით ჰექტარი ბუნებრივი ბალახი გათიბეს და 1.531 ტონა თივა დააგროვეს. აქ ყველა პირობას ქმნიან იმისათვის, რომ საკუთარი წარმოების საკვებით უზრუნველყონ მეურნეობის პირუტყვი.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა, ადამიანთა სწავლება შრომის საუკეთესო ნიმუშებსა და მაგალითებზე პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. ჩვენი ზონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს აქვთ ბევრი რამ ისეთი, რომელთა განზოგადება და ეკონომიურად სუსტ საზოგადოებრივ მეურნეობებში დანერგვა ადიდებ ეკონომიურ ეფექტს მოიტანდა. შრომის საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნისის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნას“ (თავმჯდომარე ჰ. ცაკანიანი, პარტბიუროს მდივანი ლ. ხოჯამიროვი) მეღორეებმა. აქ უკანასკნელ წლებში ღორებს ტყეში ასუქებენ, რითაც ერთი ცენტნერი ღორის ხორცის წარმოება მხოლოდ ხუთი მანეთი უჯდებათ. ბოლნისელმა მეღორეებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 380 ღორი გაასუქეს და ამით სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური დავალება 78 პროცენტით გაანადეს. ამჟამად ტყეში გასასუქებლად გაყვანილია კიდევ ასობით ღორი, რომლებსაც ნოემბრის ბოლო რიცხვებში ჩააბარებენ დამზადების პუნქტს. კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ მეღორეთა გამოცდილებას ახლა ფართოდ ნერგავენ ჩვენს ზონაში შემავალი მეურნეობები. ამასთან ამ საქმის ორგანიზატორებად საწარმოო სამმართველოს სპეციალისტებმა და ინსპექტორ-ორგანიზატორები გამოდიან.

ამჟამად ბოლნისის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის მზადების ცხარე დღეებია. მოწინავე მეურნეობებმა წელს მნიშვნელოვნად მეტი სიმინდის სილოსი დაამზადეს, ვიდრე წინა წლებში, და მოიმარაგეს სხვა სახის საკვები, ახლა აქ წარმატებით მიმდინარეობს პირუტყვის სადგომების შეკეთება.

საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საბრძოლო ამოცანაა შვიდწლედის მეოთხე წელს აწარმოონ და დედა-სამშობლოს მისცენ 3.145 ტონა ხორცი, 9.430 ტონა რძე, 2.336 ცენტნერი მატყლი, 1.515 ტონა თამბაქო, 6.785 ტონა ყურძენი, 6.100 ტონა მარცვლეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

ყოველი საქმის წარმატებას წყვეტენ ადამიანები, კადრები, რომლებიც ჩვენს ოქროს ფონდს წარმოადგენენ. ბოლნისის სამმართველოს ზონაში ასობით აგრონომი, ზოოტექნიკოსი და ვეტსპეციალისტი მუშაობს, ბევრმა მათგანმა შრომით ისახელა თავი. ჩვენი ზონის სპეციალისტთა შორის დიდი გამოხმაურება ჰპოვა ველისციხელთა პატრიოტულმა თაოსნობამ. სოფლის მეურნეობის ბევრმა სპეციალისტმა სურვილი გამოთქვა სამუშაოდ წავიდნენ საწარმოო ბრიგადებში, ფერმებში, სადაც უშუალოდ წყდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ბედი.

სამეურნეო წლის ბოლომდე ორ თვეზე ნაკლები დარჩა. განვლილმა ათმა თვემ ცხადყო, რომ ჩვენი ზონის საზოგადოებრივ მეურნეობათა დიდმა ნაწილმა ინტენსიური შრომა გასწია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად. ბოლნისის საწარმოო სამმართველომ ვადამდე გადაჭარბებით გაანადგა სახელმწიფოსათვის მარცვლეულია მიყიდვის გეგმა, მთლიანად შეასრულა ყურძნის დამზადების დავალება. განსაკუთრებით მაღალი შრომითი მაჩვენებლები მოიპოვეს ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, ბოლნისის რაიონის სოფელ სარაჩლოს, სოფელ ფახრალოს და სხვა კოლმეურნეობათა მშრომელებმა.

მიმდინარე წლის სამეურნეო მაჩვენებლებმა ცხადყო, რომ ჩვენი ზონის პირობებში ხელსაყრელია თავთავიანი კულტურების თესვა, ამიტომ გადავწყვეტეთ მომავალი წლისათვის 2 ათასი ჰექტარით კიდევ გავზარდოთ საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნათესი ფართობი. მხვნელ-მთესველებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი ამ გადაწყვეტილებას. უკანასკნელი ცნობებით ზონაში უკვე დათესილია შემოდგომის ხორბალი და ქერი 12.000 ჰექტარ ფართობზე. წელს გაცილებით უკეთეს აგროტექნიკურ ვადებში მიმდინარეობს საშემოდგომო სამუშაოები, ვიდრე შარშან.

ჩვენი სამმართველოს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა უკრაინელი კოლმეურნის, სოციალისტური შრომის გმირის ნადეჟდა ზაგლადას სტატიამ „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას“. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც განიხილეს ნადეჟდა ზაგლადას წერილის შინაარსი, მოურიდებლად ამხილეს თავიანთი თანასოფლელები და მეზობლები, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და არ ზრუნავენ საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

ნადეჟდა ზაგლადას სტატიამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია კომუნისტებშიც. ამის ერთ-ერთი გამოძახილია ძველი პერსონალური პენსიონერის ლეონ ხოჯამიროვისა და ე. ხეცურიანის ღია წერილი თავიანთი თანასოფლელი კომუნისტებისადმი. ეს წერილი რესპუბლიკურმა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ დაბეჭდა და ამჟამად განიხილავს ჩვენი ზონის ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია. კომუნისტები ინტერესით, მეურნეობრივად უდგებიან ჩვენი ცხოვრების ამ საარსებო საკითხს, სახავენ ღონისძიებებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ღია პარტიული კრებები უკვე გაიმართა ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნაში“, ბოლნისის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

ჩვენი ზონის სისხლსავსე ცხოვრებაში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოქმედებით საქმიანობაში თავისი წვლილი შეაქვს საარაოთა-შორისო გაზეთი „გამარჯვების დროშის“ რედაქციის კოლეტივს. გაზეთის ფურცლებზე მკითხველები სისტემატურად ეცნობიან სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა გამოცდილებას, სპეციალისტთა საუბრებს. გაზეთი ფართოდ აშუქებს ზონის პარტიული ორგანიზაციების დადებით საქმიანობას და ამხილებს ნაკლოვანებებს, რითაც დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობის მუშაკებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში.

ეს ვიდი თვე გავიდა სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის გარდაქმნის დღიდან. მაგრამ ამ მოკლე ხანშიც დადასტურდა პარტიისა და მთავრობის ამ ბრძნული ნაბიჯის კეთილსასურველი გავლენა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის. პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა, რაც სექტემბერ-ოქტომბერში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო, ცხადყო, რომ სოფლად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ამ დღეებში გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებაში და პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში აღძრული საკითხები პირდაპირ შეეხება ბოლნისის საწარმოო სამმართველოს მეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებსაც. კომუნისტების, თვითეული პატიოსნად მომუშავე ადამიანის წინაშე ახალი საბრძოლო ამოცანები ისახება, რომელთა მთავარი შინაარსი მიმართულია იქითკენ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვითეულ უბანზე ვამრავლოთ ხვავი და ბარაქა, ულმობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ შრომისადმი არაკომუნისტური დამოკიდებულების ყოველ ფაქტს, შემდგომ გავაძლიეროთ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და კომუნისტთა ავანგარდული როლი, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის, რათა წარმატებით დავძლიოთ ის ზღუდეები, რომლებიც ჩვენი სამმართველოს მშრომელთა წინაშე დგას მიმდინარე შვიდწლედში.

ვ. სანიკიძე,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ბოლნისის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში.

სოფლის გულის ძახილი

შრომა და ადამიანის ღირსება განუყოფელია

ზარის ხმამ მულახის შორეულ სოფლებში — არცხელსა და ყაბეშიც მიაღწია. სწრაფად დაიძრა სასოფლო კლუბისაკენ დიდი და პატარა. მოვიდნენ სოფლის თავკაცები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რაიონული ცენტრიდან ჩამოვიდნენ სტუმრები. სოფლის ყრილობა შრომის დეზერტირებთან ბრძოლის საკითხს განიხილავდა. უნდა მოესმინათ აგრეთვე მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განთლების განყოფილების გამგის დეპუტად ნ. გუჯეჯიანის ანგარიში. ყველას აწუხებდა, აინტერესებდა ეს საკითხები. რაისაბჭოს აღმასკომის დეპუტატებიც ჩამოვიდნენ.

მოხსენების შემდეგ ცხარე კამათი გაიმართა. თანმიმდევრობით დასახელეს ის კოლმეურნეები, რომლებიც სხვაგან, რაიონს გარეთ დაეძებენ საარსებო სამუშაოს და საკოლმეურნეო შრომას გაურბიან. ასეთები არიან: თენგიზ იოსელიანი, რობინზონ ქურდიანი, სეფე იოსელიანი, ტარიელ გუჯეჯიანი, ბათლო იოსელიანი, სოსო ნავერიანი, მიხეილ წიფიანი და სხვები.

უკმაყოფილება გამოთქვეს კოლმეურნეობის გამგეობის მიმართაც, რომელიც ზოგიერთ სამუშაოს ანაწილებს არა შრომისუნარიან კოლმეურნეებზე, არამედ საკოლმეურნეო კომლთა მიხედვით. ზოგ ოჯახში 6-7 შრომისუნარიანია, ზოგან მხოლოდ ერთი, სამუშაოს კი ორივე ოჯახს ერთნაირად აძლევენ. ასეთ პირობებში მრავალრიცხოვანი ოჯახის ზოგიერთ წევრს საშუალება ეძლევა ჩამოშორდეს საკოლმეურნეო შრომას და სხვაგან წავიდეს.

სიტყვებით გამოსულებმა ერთხმად აღიარეს, რომ სამუშაოთა განაწილების ასეთი მეთოდის აღკვეთა უქნარებისა და სარეფან სამუშაოთა მძებნელების რიცხვსაც შეამცირებს.

სხვაც ბევრი უსაყვედურეს სოფლის მშრომელებმა კოლმეურნეობის გამგეობას. აღნიშნეს, რომ ძრწოლის სულადობის შესავსებად მოსახლეობისაგან გადაბერებულ, არაპროდუქტიულ პირუტყვს ყიდულობენ, რომელსაც მოვლა და საკვები უნდა, პროდუქციას კი არ იძლევა. ეს იმიტომ ხდება, რომ აქ აღარ ზრუნავენ საზოგადოებრივ ჯოგში გაზარდონ პირუტყვის შერჩეული ჯიშები.

ყრილობაზე ბევრი ითქვა სოფლის კეთილმოწყობის საკითხებზე.

საკმაო ხანია არსებობს მესტიის რაიონსაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ბანაკ „უშბადან“ მულახამდე სამანქანო გზის გაგრძელების შესახებ, მაგრამ საგზაო განაყოფილება ამ დადგენილების შესრულებაზე ჯეროვნად არ ფიქრობს. წლების განმავლობაში ჭიაურდება სოფელ მუქალის სამანქანო გზის შეერთება კალა-იფარის სამანქანო გზასთან.

ყრილობაზე გამოსული ორატორები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ რაიონული საავადმყოფო შეთავსებით აძლევს მულახში ექიმის თანამდებობას მესტიაში მომუშავე ექიმებს, რომლებიც აქ იშვიათად მოდიან.

კოოპერაცია ვერ ამარაგებს მოსახლეობას პირველი მოთხოვნილების საქონლით.

საინტერესოდ ჩატარდა სოფლის ყრილობა ლახამულაშიც, აქაც მკაცრად დაგმეს უქნარები და მოითხოვეს მათი სოფლიდან გასახლება.

მოხსენებით გამოვიდა რაიონული საბჭოს დეპუტატი რ. ჯაფარიძე.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ზ. ვიბლიანი, გ. ჭკადუა, ს. ჭკადუა, ვ. ვიბლიანი და სხვები. მათ მკაცრად ამხილეს საკოლმეურნეო შრომის დეზერტირები: დიდა ვიბლიანი, ეერა დავითიანი, მურმან ჭკადუა, ეთერ დავითიანი, პიმენ ჭკადუა, კოტე ჭკადუა და სხვები. არც ერთ მათგანს 9 თვეში 25 შრომადღეზე მეტი არა აქვს გამომუშავებული. სასოფლო ყრილობამ გამოიტანა დადგენილება ამ კოლმეურნეთა შესახებ და უკანასკნელად გააფრთხილა, რომ თუ ამის შემდეგაც არ ჩაებმიანან საკოლმეურნეო შრომაში, გაირეცხებიან კოლმეურნეობიდან და გაძევებული იქნებიან რაიონიდან.

სოფლის მძლავრმა ხმამ გაჭრა. ახლა ზოგიერთი მთგანი თავდადებულად მუშაობს და ცდილობს პატიოსანი შრომით ჩამოირეცხოს სამარცხვინო ლაქა.

მესტიის სასოფლო ყრილობაც მიეძღვნა შრომისათვის თავამრიდებელთა წინაღმდეგ ბრძოლას. ილაპარაკეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებაც. მოისმინეს ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის დირექტორის, რაისაბჭოს დეპუტატის ა. მერლანის ანგარიში.

გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ნ. ნაკანმა, ფ. გვარლიანმა, მ. ჯაფარიძემ, ი. ჩართოლანმა, ე. ჯაფარიძემ და სხვებმა. ყველამ ერთხმად მოითხოვა იმუშაონ პატიოსნად და გაუფრთხილდნენ მინდვრის შრომელის ღირსებას.

სასოფლო ყრილობამ დადგენილება გამოიტანა ბორის ბარლიანის, მუსაბი გობდელიანის, ზოსიმე რატიანის, გუჯულა ჯაფარიძის და სხვა უქნარების რაიონიდან გასახლების შესახებ.

ყრილობის მონაწილეებმა გააფრთხილეს ის პირებიც, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, ანაგვიანებენ მოედნებს, ქუჩებს, პარკს, სასმელ წყალს, ეწევიან არყის შინ გამოხდას. მეტი ფხიზელი და ოპერატიული მუშაობა მოითხოვეს მილიციის უბნის მუშაკებისაგან.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა წამოაყენეს საქმიანი, კონკრეტული წინადადებანი, აღნიშნეს, რომ სასოფლო ყრილობების მოწვევა სასურგველო წამოწყებაა და იგი ფართოდ უნდა დამკვიდრდეს. ... სოფლელ მუშაკებმა ერთად უნდა დაარაზმოს მეურნეობის ყველა ... ლისკვეთებისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დანერგვისათვის.

ხაზგასმით ამბობდნენ, რომ ასეთი ყრილობები მოსახლეობას უნერგავს საკუთარი ძალების რწმენას, ამაღლებს, უფრო მძლავრს ხდის საზოგადოებრივი აზრის ძალას, პრინციპულობას, ავტორიტეტს, რაზმავს მასებს მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

სასოფლო ყრილობები ჩატარდა ბეჩოში, კალაში და მესტიის რაიონის სხვა სოფლებში. პატიოსანმა, შრომისმოყვარე ადამიანებმა ყველგან ზიზღი გამოუცხადეს უქნარებს, წესრიგის დამრღვევეს, კერძო მესაკუთრეებს, ვინც კოლექტიური მეურნეობის ხარჯზე აფართოებს საკუთარ მეურნეობას. დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი სოფლების კეთილმოწყობისა და შრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ეცვრის სასოფლო ყრილობამ ერთხმად დაგმო ნუგზარ გერლიანის, ივანე სტეფანიანის და სხვათა არაკეთილსინდისიერი საქმიანობა და გამოიტანა დადგენილება რაიონიდან მათი გასახლების შესახებ.

სასოფლო ყრილობაზე მოსახლეობა დიდი გულისტკივილით ლაპარაკობდა იმაზე, რომ ზოგიერთ სოფლებს, როგორიც არიან მესტია, ლატალი, ჭოლაში, ტვიბერი, ლეზგარა და ფარი, არ ჰყოფნით სასმელი წყალი ანდა შორიდან მოაქვთ. მოსახლეობა თხოულობს წყლის გამოყვანას. ამ საქმეში მათ დახმარება ესაჭიროებათ წყალსადენის მილებით.

უკმაყოფილება გამოთქვეს იმაზეც, რომ მესტიაში არ არსებობს ტუბდისპანსერი და სამშობიარო სახლი, რაც აუცილებელია მშრომელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სასოფლო ყრილობები პრაქტიკაში დამკვიდრდა, მაგრამ ამ სასარგებლო წამოწყების სასიხარულო შედეგები სწრაფად გამოჩნდა. რაიონული საბჭოს დეპუტატების მ. გვიჩიანისა და ა. მერლანის ინიციატივით მოეწყო ბეჩოს სასოფლო საბჭოს გზებისა და სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა, მდინარე დოლრას ნაპირების წყალსაცავი ჯებირების მშენებლობა. აქვე დეპუტატების მარჯანი და მიხეილ კვიციანების თაოსნობით ჩატარდა მინერალური წყლისა და სამანქანო გზის კეთილმოწყობა. ბეჩოს სასოფლო საბჭოს სოფელ ბაზერში კოლმეურნეობის ორ ბრიგადაში გაყვანილ იქნება ტელეფონი და რადიო.

ყველა სასოფლო ყრილობაზე იგრძნობოდა მშრომელთა უდიდესი სიყვარული შრომისადმი და მშრომელისადმი. ასევე საგრძნობი იყო მათი ზიზღი სოფლის მუქთახორების მიმართ. ასეთ ადამიანებს ყველგან მკაცრად მოეკიდნენ. ან იშრომე, იბრძოლე სოფლის კეთილდღეობისათვის, ან თემიდან მოიკვეთები, — ასეთია სოფლის გულის ძახილი.

ა. ჩარკვიანი.

მესტიის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„თივა თავისით არ დაიზვინება“

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში — „თივა თავისით არ დაიზვინება“ — ლაპარაკი იყო სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებსა და დუშეთის რაიონში თივის დამზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. ამ წერილის თაობაზე საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ვ. გელაშვილი რედაქციას ატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც ამხილებდა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ცხვრისათვის საკვების დაგროვებაში სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობათა ნაკლოვანებებს, სწორია. ამ საკითხზე გამახვილდა ყურადღება სოფლის მეურნეობის კომიტეტის გაფსვლილ სხდომებზე, რომლებიც უკანასკნელ ხანებში მოეწყო ცხინვალის, ლენინგორისა და ჯავის რაიონებში.

წერილის გამოქვეყნების შემდეგ სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებმა, რომლებიც მეცხვარეობას მისდევენ, გააძლიერეს ღონისძიებანი ჩრდილოეთის საძოვრებზე თივის დასამზადებლად.

საკვების დაგროვებაში დიდი გარღვევა ჰქონდათ ჯავის რაიონის მეცხვარეობის კოლმეურნეობებს და ცხინვალის რაიონის სოფელ ღრმის კოლმეურნეობას. ამ ორივე რაიონიდან ყიზლარში გაიგზავნენ ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც დაეკისრათ საქმის ორგანიზაცია. ადგილზე საკვების დაგროვებაში მალე მოხდა გარდატეხა.

მოლებული ზომების შედეგად ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე თივის დაგროვების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი გამოსწორებულია. პირუტყვი უზრუნველყოფილი იქნება უხეში საკვებით.

ჩვენი გაზეთის კრიტიკა მიიღო აგრეთვე დუშეთის ტერატორიულმა საწარმოო სამმართველომ. სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ი. არაბული რედაქციას სწერს:

დუშეთის ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველომ განიხილა წერილში მოყვანილი შენიშვნები და გაზეთ „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო.

მიმდინარე წელს გვალვის შედეგად ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე გადაიწვა ბალახი. ამან დიდი გავლენა მოახდინა ზამთრისათვის უხეში საკვების მარაგის შექმნაზე.

გაზეთის სიგნალის შემდეგ საწარმოო სამმართველოს საბჭოს სხდომამ საეცადურად განიხილა პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საკითხი და სამმართველომ პრაქტიკულად განახორციელა ღონისძიებანი.

20 ოქტომბრისათვის სამმართველომ ყიზლარში დაგროვა სულ 290.933 ცენტნერი უხეში საკვები. მათ შორის დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებს დაგროვებული ჰქონდათ 160.145 ცენტნერი. ამჟამად ყიზლარში მყოფი კოლმეურნეობათა სამშენებლო ბრიგადები აწარმოებენ ბინების მომზადებას და საკვების მიზიდვას ბინებთან.

დუშეთის ტერიტორიული საწარმოო სამმართველო ყველა ზომას იღებს ყიზლარში მყოფი ცხვრის ფარების ნორმალური გამოზამთრებისათვის.

სურათებზე: — ხობის რაიონის ხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. კოდუა (მარჯვნივ) და ბრიგადირი შ. ნაჰყებია კრეფის წინ ერთხელ კიდევ ამოწმებენ ნაყოფით დახუნძლულ ციტრუსოვანთა პლანტაციას; ენერგიული შრომით გამოირჩევიან ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხნის მოწინავე ახალგაზრდა მუშები (ზემო სურათზე მარცხნიდან) ზ. ხუსკივაძე, შ. კობახიძე და ე. ნებიერიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. გერსამიასი.

თაობათა სიჭაბუკე

ოლონდაც, ოლონდაც, რომ მაგათი ჯერია, მაგათ ვენაცვალე, — ხმამაღლა გაეკასუხა მოხუცი თავისსავე ფიქრს და ერთხელ კიდევ სათითოოდ გადათვალა და წარმოიდგინა თავისი ნაშიერნი. ოცზე მეტი არიან. ექვსი შვილი, ექვსი შვილიშვილი, ორიც ბადიში — შვილიშვილის შვილი. ერთბაშად ყველა წყენა და სიბერის ყველა სიგლახე გადავიწყდა. თავად დაბერდა, მაგრამ ისინი ხომ მისი სისხლი და ხორცია, მისი გვარისა და საქმის განმგრძობნნი და გამოონიერებელნი.

მოხუცი დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა ჭურისთავზე და თავღია ქვევრს ჩაჰყურებდა ვეებერა ხახაში. ხელში გრძელტარიანი სარცი ეჭირა და მარჯვედ და მოხერხებულად სცემდა ქვევრს ფერდში ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. აგუარისფრად შეღებული წყალი ეხეთქებოდა კედლებს. „აშხოუ-შხუ, აშხოუ-შხუ...“ გმინავდა და ოხრავდა ქვევრი.

მოხუცისათვის ეს ჩვეული სამუშაო იყო და არ უმძიმდა, არც ფიქრს უშლიდა მუშაობა. ... ეფერა თავის სიბერესა და სიძაბუნეზე, მოეგონებინა ყმაწვილკაცობა და სიმაბუკე, დაეოცნებინა და დავიჟკაცება, ძეობა და ძეთა ძეობა, ლხინი, ქორწილი, ნათლობა და თამადობა... ბევრი რამ აქვს მოსაგონარი და გასახსენებელი მოხუც კერკალიშვილს. რა არ უნახავს, რა არ გადახდენია თავის ოთხმოცდაათწლიანი ცხოვრების მანძილზე.

ენა ადვილად იტყვის, თორემ იცით, ოთხმოცდაათი წელი რამოდენა გზაა, რა მანძილია?

ეს არის მანძილი კილასონიას დაფეხ

ილია ჭავჭავაძის დაგადეგის 125 წლისთავისათვის

საშობლოს დედაბოძი

მოგონების ფურცლები

ილია... ქართველი ადამიანისათვის მახლობელი, საამაყო სახელია... ძნელია ილიას სურათის მოთავსება მცირე ჩარჩოში, რაზომ ძვირფასიც უნდა იყოს ეს ჩარჩო — ოქროსი თუ სპილოს ძვლისა.

ილიას პორტრეტი საჭიროებს დიდ სარკეებს, შორს და ღრმა მანძილზე გამტყორცნი სხივებით. ამიტომ ილიას პორტრეტის ნატვინას მკაფიო სილუეტით დავკმაყოფილდები, სილუეტით, რომელიც მხოლოდ ოცნების მედალიონში მოთავსდება.

ილია ჭავჭავაძე პირველად მსახურობდა ლიზა ჩერქეზიშვილთან გავიცანი. ლიზა ჩვენებური იყო, ლიახვისხეობელი, სოფელ კოშკიდან.

თბილისში ლიზაანთ ოჯახი განთქმული იყო გულთბილობითა და პურმარილით.

კვირა-უქმე დღეს აქ თავს იყრიდნენ ცნობილი მსახიობნი: ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია და სხვები. მწერლებიდან კი უფრო ისინი მოდიოდნენ სტუმრად, ვინც ლიზას მეუღლეს, ნიკო ხიზანიშვილს, გულით უყვარდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, უპირატესობა ჰქონდა დიდ ილიას.

ამ ოჯახში ხშირად მინახავს გიგა ყიფშიძე, არტურ ლაისტი, არტემ ახნაზაროვი (ჩიორა), ზოგჯერ ანტონ ფურცელაძესაც შემოუღია კარი, ათასში ერთხელ სოფრომ მგალობლიშვილსაც.

ამრიგად, ლიზას ძველ-ქართულ ოჯახში ბედნიერი შემთხვევები მეძლეოდა უფრო ახლოს გავცნობოდი ჩვენს საზოგადო მოღვაწეებსა და კალმის ბრწყინვალე ოსტატებს. მათ შორის ყველაზე მეტ ყურადღებას, ბუნებრივია, ილია იპყრობდა, როგორც დიდი განმანათლებელი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, სოციოლოგი და ეკონომისტი.

მისი გამოჩენა ხსენებულ ოჯახში პირდაპირ ზეიმით აღინიშნებოდა. ეს დინჯი კაცი, ქართული ლიტერატურის შედევრების ბრწყინვალე შემოქმედი, უბრალო ბავშვად გადაიქცეოდა ხოლმე, როდესაც ლიზას ბავშვები — ვასუშტი და შალიკო — ციყვებივით მუხლებზე ასტეპოდნენ, ეხვეოდნენ და ეალერსებოდნენ. საოცარი იყო, რომ კაცი, გოროზად, აუღებელ ციხედ ცნობილი, მუდამ დინჯი, უთქმელი, ხერიოზული და გულჩათხრობილი, ისე საოცრად უყადრებდა თავს ბავშვებს! აქ, ამ ოჯახში ჩამოდიოდა იგი მწვერვალებიდან, თვითონაც ბავშვი ხდებოდა. რა მომხიბლავი იყო ილია ამ დროს!

...ერთხელ, მასპინძელმა, ნიკო ხიზანიშვილმა, ასეთი სიტყვებით დაურღვია ილიას იდილიური სამყარო:

— ბატონო ილია, კოტე ჭადრაკში გიწვევთ! — და ყიფიანზე მიუთითა.

კოტე ყიფიანი ჭადრაკის დაფას მისჯდომოდა, სვლებს აკეთებდა და თავისთვის ვარჯიშობდა.

ილია დინჯად მივიდა მაგიდასთან, სკამზე დაბრძანდა, ფიგურები სათითაოდ გაასწორა და ჩაფიქრდა.

მე ჭადრაკი ბავშვობიდანვე მიყვარდა და მიტაცებდა. შორიდან მოკრძალებით ვუმზერდი მათ თამაშს.

კოტემ მორიდებით ჰკადრა:

— ბატონო ილია, იმდენვანდელი სამაგიეროს გადახდას ხომ არ ინებებთ?

ილიამ არაფერი უპასუხა. პირველი ხუთი სვლა მშვიდობიანად წარიმართა, ილია ძმიდან ირჯებოდა, უბრალო სვლებს დიდ დროს ანდომებდა. დაახლოებით ოცდამეთე სვლაზე ყიფიანმა დაუშამათა.

— ჩვენ ყიფიანები ვართ, ყოფილი იტალიელები! აბა რას გახდებით ჩემთან, თავადო!.. — დაიწყო ოხუნჯობა კოტე ყიფიანმა.

ილიამ სიტყვის შეუბრუნებლივ აკრიფა თეთრი ფიგურები, დაალაგა დაფაზე და პირველი სვლა გააკეთა. თამაშის დროს, სვლებში, გაჯავრება ეტყობოდა... ეს პარტია უფრო მალე წააგო, ვიდრე პირველი, რაც დიდად ითაკილა, ის იყო მესამედაც უნდა დაეწყო თამაში, რომ თამამმა დიასახლისმა — ლიზამ დაფაზე ფიგურები აურია და ხელში აიტაცა, ილიამ თამაში დათმო. გაშლილი სუფრა უკვე უცდიდა სტუმრებს.

სუფრის თავში, როგორც წესი, სახელგანთქმულ და უცვლელ თამადად ვალერიან გუნია დასვეს. სადილმა გულიანად სადღეგრძელოებსა და ოხუნჯობაში ჩაიარა.

სუფრასთან ვასო აბაშიძე და ნატო გაბუნია ერთმანეთს გაუშაირნენ და სიცილით ხოცავდნენ სტუმრებს. მასპინძელიც ოხუნჯობის გუნებაზე დადგა, თუმცა ტლანქად მოუვიდა თავისი „ნომერი“ — შემწვარი წლის ბატკანი მთლიანად წინ დაიდგა და თითქმის ნახევარი გაათავა. ილია ისეთი სიყვარულითა და ღიმილით შეჰყურებდა მის მადიან ჭამას, რომ ნიკო მზად იყო მთელი ბატკანი შეეჭამა! მასპინძელი გრძნობდა ილიას თვალების ეუეუუნს, გრძნობდა, რომ ილია მხიარულობდა და ამით თვითონ იყო ბედნიერი.

ვალერიან გუნიამ წყვილი შეევრცხლილი ყანწით შესვა თავად ილიას და ქალბატონ ოლღა ჭავჭავაძეების სადღეგრძელო, რის შემდეგ ოხუნჯობის ასპარეზზე ახლა სოფრომ მგალობლიშვილი გამოიყვანა.

მე მეგონა, რომ სოფრომი მჭადიდან ნახშირს ვერ გამოიღებდა, სანამდვილში იგი ჩინებული კომიკი გამოდგა.

თამადამ მაღალხმიანი და უკვდავი მრავალჟამიერის შემდეგ საფირონის ქვებით მოოქვილი ღვინით სავსე ქართული კულა შესთავაზა სოფრომს და სთხოვა, ერთი „ტეტიური სადღეგრძელო“ გამგაგონეო.

ილია ამ სიტყვებს ტაშისცემით შეეგება და ისეთი სიყვარულით მოემზადა მოსასმენად, თითქოს მთლად საქართველოს ისტორიას უსმენსო. სოფრომმაც დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! ჯერ დინჯი შესავალი გაუკეთა ტეტიურ კილოზე (თან კისერს იფხანდა), შემდეგ მიამიტად ჩაუთრთო უცენზურო ფერადები, ისეთი არტისტული მოხდენილობით, რომ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა; თვით ნატო გაბუნია და, ახე გასინჯეთ, ვასო აბაშიძეც კი სიცილით იმაჯებოდნენ. სასწაული კნეინები! რა დღე არ აყარა სოფრომმა ამ სადღეგრძელოთი, მაგრამ ისე უეშმაკოდ და გლეხური გულგაშლილობით, რომ თვითონ ერთხელაც არ გაბღინძებია!



ილია კი, ბრძენი, უსაყვარლესი ილია, სულ იცინოდა, იცინოდა...

— აგრე, აგრე, ჩემო სოფრომ, — აქეზებდა სიცილნარევი ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, — კიდევ თქვი, თუ ღმერთი გწამს, თქვი, თქვი... ნუ გეშინია, დავიმახსოვრეთ... სწორედ ეგ „ტეფანელები“ არიან, რაც არიან... ჩვენი ცხოვრების ხერხემალი! შენ კი არა ბრძანებ ანეგდოტსა, ისინი შეგვასმენენ შესასმენელსა...

და კვლავ ხარხარი, კისკისი, კნეინათა გაწითლება, მარაოების ქნევა, ილიას გულიანი კუბკუბი და თამადის ვალერიან გუნიას ახალ-ახალი სადღეგრძელოები...

სუფრამ უფრო და უფრო მოილხინა, ახლა ვახო აბაშიძემ ჩაიგდო იუმორის სადავეები. ხან ერთი ლამაზი კნეინა კისკისებდა თავშეუკავებლად, ხან მეორე. ხან კი მესამე, სიცილით გაგუდული, გარეთ გავარდებოდა ხოლმე.

ერთმა გარემოებამ გამაოცა — ილიას ძალიან უყვარდა სიმღერები, თვითონ კი ხმას ვერ ამოაღებინებდა...

ილიას დაეინებული თხოვნით მოოტანა დიასახლისმა ვერცხლის ფიფინუ-ლები, ეს ფრანკომ განაცხადა, რომ ბოლივია და ჩილი შეუერთდნენ როგორც თანაავტორები ბრაზილიის რეზოლუციის პროექტს უატომო ზონის შექმნის შესახებ ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში.

ნიუ-იორკი, 10 ნოემბერი (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელი დღის სხდომის მეტი ნაწილი მიეძღვნა ქალბატონ ელეონორა რუზველტის ხსოვნას.

საბჭოთა კავშირის სახელით სამძიმარი გამოთქვა სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინმა, რომელმაც წაიკითხა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ელეონორა რუზველტის ოჯახისადმი.

ილია ამ ლიტერატურ ნაწარმოებებს ეფერებოდა, ეალერსებოდა, ეფერებოდა, ეალერსებოდა... ეს ბავშვობა, ეს ბავშვობა, ეს ბავშვობა!

ილიას ბავშვობის დროს თბილისში ვიყავი. 1907 წლის 30 აგვისტოს თბილისში გრანდიოზული კორტეჟი ხმა, საგურამოს ტყეებს, ეკლესიებში — ძლიერ მოიკლავენო. ეს ამბავი ბაზეთ „ხალხის ნადაფერ“ მოლოდინში ... ...

ახალი ამბები

ოცი წლის შემდეგ...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ამას წინათ უჩვეულო გამოცოცხლება იყო. ინსტიტუტის აღზრდილი ექიმები კვლავ მოვიდნენ ნაცნობ აუდიტორიებში. ისინი ჩამოვიდნენ იმერეთიდან, ლენინაკანიდან, ბალტიისპირეთიდან.

შეხვედრაზე გულთბილი სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ა. ზუთაშვილმა. მან გაიხსენა ექიმი პატროიტი, რომელებმაც 1942 წლის მრისხანე დღეებში დაამთავრეს ინსტიტუტი და ბრძოლის ველს მიაშურეს. 27 ვაჟკაცი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს.

შეხვედრაზე გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა შ. გოგოხიამ, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა პ. ელბახიანმა და სხვებმა.

დ. ჭანტურია.

უნივერსიტეტი მაღაროში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ერთ-ერთ უდიდეს მაღაროში ახლახან შეიქმნა კულტურის სახლთან უნივერსიტეტი, რომლის რექტორია ინჟინერი შ. კოკვიძე. უნივერსიტეტში ორმოცზე მეტი მსმენელია გაერთიანებული. უნივერსიტეტს აქვს თავისი სასწავლო გეგმა. პირველ მეცადინეობაზე მოისმინეს გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის მ. ხელაიას ლექცია „საქართველოს გეოლოგიური ისტორია და წიაღისეული სიმდიდრენი“.

ოქტომბრის ქუხილი

სალამი დღეებს, ქარიშხლის დღეებს,
იმ ფერუმჯ დღეებს მადლობას ვუხდი,
ოქტომბრის თვემი იქუხა ერთხელ,
მე დავადარე აპრილის ქუხილს.
ჩვენ იმ ქუხილის ელვა გვინათებს...
ცა იყო ღრუბლით გადაფერილი;
ლენინს ეჭირა დროშა სიმართლის
და ხალხის დროშა გახდა ლენინი.
ნისლში არ ჩანდა ამ ცის ნასახიც,
ქუხდა ავორრა-სიტყვამარალი.
ქარი იყო და ზამთრის სასახლე
და ქვეყნად მართლა იყო ზამთარი.
მაგრამ ყინვაშიც ენთო იმედი
მხედარს, ვინც წლების მერე გავიცან...
სალამი იმას, ვინც გრიგალს ენდო,
იმ კარგ მუშას და
იმ კარგ ჯარისკაცს.
სალამი, ვინაც არ მოკვდა ოხვრით,
მის იდუმალ ჯავრს
და ფიქრს გასამხელს,
ვისაც თავისი არ ჰქონდა ქოხი,
ვინც შეედავა ზამთრის სასახლეს...
სალამი დღეებს უნათლეს დღეებს,
ვინაც შეცვალა ბინდი და მწუხრი,
თუ ოქტომბერში იქუხა ერთხელ,
იგი დაჩაგრაკს აპრილის ქუხილს.
შემოდის ეს დღე ფერებით უხვით,
როგორც სიმღერა გულით სათქმელი...
თუ დაიქუხა უკლვოდ ერთხელ,
იმ ქუხილა მერე მოჰყვა ნათელი.

ანზორ აბულაშვილი.

მოკლედ

◆ **ტყიბული.** (საკ. კორ.). ტყიბულელმა შახტმშენებლებმა კარგი საოქტომბრო საჩუქარი მიიღეს. ორკონიკიძის სახელობის შახტის პლატოზე მათთვის აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ახალ სახლში კეთილმოწყობილი ბინები მიიღეს ცნობილმა შახტმშენებლებმა ჭ. ლოხოძემ, ლ. სოფრომაძემ, ა. ჭუსეინოვმა, შ. ბუაძემ, ვ. ზოზიკაშვილმა, გ. გაბრიაძემ და სხვ.

◆ **საჩხერე.** (საკ. კორ.). აქ დამთავრდა ახალი, კეთილმოწყობილი კინოთეატრის მშენებლობა ოთხასამდე მაყურებლისათვის. მას აქვს კარგი დარბაზი, ვენტილაცია, ცენტრალური გათბობა.

ამეხდა საზაფხულო კინოთეატრის შენობა, რომელსაც აქვს სცენა ესტრადის მსახიობებისთვის. საზაფხულო კინოთეატრი რვაას მაყურებელს იტევს.

◆ **წითელწყაროს** რაიონულ ცენტრში ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა სასტუმროსა და რესტორანის ახალი შენობები. მწყობრში ჩადგა ადგილობრივი მრეწველობის აგურის ქარხანა, რომელიც წელიწადში 3 მილიონ ცალ აგურს გამოუშვებს. **(გ. კაკალაშვილი).**

დიდი რეჟისორის ხსოვნისათვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები გულში ინახავენ და პატივს სცემენ საბჭოთა თეატრის დიდოსტატის კოტე მარჯანიშვილის სახელს. კოტეს სახელთან დაკავშირებულია ქუთაისის განახლებული თეატრის შექმნა და მისი დასის შესანიშნავი გასტროლები მოსკოვსა და უკრაინაში.

ქალაქის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა კ. მარჯანიშვილის დაბადების 90-ე წლისთავი. მსხვილ საწარმოებში და ახალშენებლობებზე გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საღამოები; კულტურის სახლებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში მოეწყო დიდი ქართველი რეჟისორის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ამ დღეებში ო. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა კოტე მარჯანიშვილის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ს. ფხაკაძემ. კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა დოცენტმა გ. სამხარაძემ.

მოგონებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ჯ. აბესაძე და შ. პირველი, გაზეთ „კუტაისაკაია პრავდის“ რედაქტორი ვ. ლალიაშვილი, სტუდენტი თ. ფანცხავა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ა. ფევრალსკი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვ. ხორული, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, პოეტები არჩილ გურჯიძე და ლილი ნუცუბიძე.

საღამოს დასასრულს უჩვენეს ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“.

მოვიდნენ, იცეკვეს, გაიმარჯვეს

ბაკ. მსოფლიოს როგორ ქვეყანაში არ უმოგზაურიათ ქართული ქორეოგრაფიის ოსტატებს, სად არ მოხიბლულან ჩვენი ცეცხლოვანი ცეკვებით.

საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი თითქმის ორი თვეა საგასტროლოდ მოგზაურობს ევროპის ოთხ სახელმწიფოში. პირველად ანსამბლი შვეიცარიაში იმყოფებოდა. შვეიცარიის შემდეგ ქართველი ქორეოგრაფები ავსტრიასა და ბელგიაში გამოდიოდნენ, ხოლო 31 ოქტომბერს ჰოლანდიას ესტუმრნენ.

ჩვენს ხელთაა საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის გასტროლებისადმი მიძღვნილი რეცენზიები, რომლებიც ავსტრიისა და ბელგიის გაზეთებმა დაბეჭდეს.

ავსტრიაში ქართველ ქორეოგრაფებს პირველი კონცერტი ვენის დიდ საკონცერტო დარბაზში „კონცერტჰაუზში“ ჰქონდათ, რომელიც 4.000-მდე მაყურებელს იტევს. ვენაში რვა კონცერტი გაიმართა, შემდეგ ეწვივნენ ზალცბურგს, გრაცსა და ლინცს. აი რას წერენ ავსტრიული გაზეთები.

სათაურით „ქართული ხალხური ცეკვის სენსაციური გასტროლები ვენის საკონცერტო დარბაზში“ — ერთ-ერთი უდიდესი გაზეთის „კურიერას“ რეცენზენტი რუდოლფ კლაუსი წერს: „...ისეთი სიტყვები როგორიც არის „კულმინაციური“, „გულწარმტაცი“ ოდნავადაც ვერ ასახავენ ამ განუმეორებელი კოლექტივის ცეკვის სიდიადეს და სიმშვენიერეს. გაჭედილი დარბაზი ზანზარებდა, ქუხდა. ტაშს დასასრული არ უჩანდა... ნეტავი იმას ვინც ხვალისათვის ან ოთხშაბათისათვის, კიდევ ერთ ბილეთს იშოვნის ამ კონცერტზე დასასწრებლად“.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ორგანო „ფოლკსტიმე“ 9 ოქტომბრის ნომერში წერს: ღრუბლებიდან მოვარდნილ ზაფხულის თქეშივით შემოიჭრნენ ქართული ხალხური ანსამბლის მონაწილენი სცენაზე. მათი ზამბარისებური კამარა ჰაერში, ბალეტის ბევრ ოსტატს შეშურდებოდა... საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, უდიდესი ნახტომი გააკეთა წინ პროგრესისაკენ. ამ ხალხის განახლებულმა ცხოვრებამ შესაძლებელი გახადა ხალხური ცეკვის ანსამბლის მსოფლიო სცენაზე წარმატებით გამოსვლა“ — და ბოლოს დასძენს — შეიძლება თამამად ითქვას ქართული ხელოვნების ოსტატები მოვიდნენ, იცეკვეს და გაიმარჯვეს“. ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ქართველ ქორეოგრაფ თა კონცერტებს გაზეთ „ზალცბურგერ ფოლკსბლატი“.

ავსტრიის შემდეგ ქართველი მოცეკვავეები ბელგიაში ჩავიდნენ, სადაც პირველი კონცერტი „ნატიფი ხელოვნების სასახლეში“ გამართეს. აი რას წერენ ბრიუსელის გაზეთები. ბელგიის კომუნისტური პარტიის ორგანო გაზეთი ლედრაპო-ოუე` წერს: „...დარბაზში ტევა არ იყო მიუხედავად იმისა, რომ ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ანსამბლს ადრეც იცნობდა ჩვენი მაყურებელი... მშვენიერია წარმტაც კოსტუმებში გამოწყობილ ბრგე ვაჟკაცთა და ტანწერწეტა ქალიშვილთა განუმეორებელ გრაციითა და პლასტიკურობით გამთბარი ეროვნული ცეკვები“.

ერთ-ერთი მსხვილი ყოველდღიური გაზეთი „ლე პეპლ“ წერდა: „... იჩქარეთ ქართველების ნახვა, რადგან მალე ისინი თავიანთ ოცნებისეულ ბედაურებს მოეელებიან ზურგზე და გაჭენებენ შორს, შორს, რათა სხვა ქვეყნის მაყურებელიც დაატყვევონ.“

მოსკოვი. ამ დღეებში სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიაში საზეიმო ვითარებაში მოხდა აკადემიის მედლებისა და დიპლომების გადაცემა სახვითი ხელოვნების 1961 წელს შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებებისათვის.

სურათზე: სსრ კავშირის სახალხო მხატვარი მოქანდაკე მ. გ. მანიზერი ოქროს მედალს და პირველი ხარისხის დიპლომს გადასცემს ქართველ მოქანდაკეს მ. კ. მერაბიშვილს.

ფოტო ლ. ველიკჟანინისა (საკ. ფოტოქრონიკა).

მეგალის ვარსკვლავი

თანამედროვე პროგრესული ფრანგი მწერალი პიერ გამარა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მეგობარია.

თავის რომანებსა და მოთხრობებში გამარა უმდერის უბრალო მშრომელ ადამიანებს, რომლებიც ბედნიერი, ლამაზი ცხოვრებისათვის იბრძვიან. ამ ცხოვრებას კი მშვიდობიანმყოფარე კაცის მარჯვენა ქმნისო, ამბობს მწერალი. „კაცის მარჯვენა“, სწორედ ასე ჰქვია გამარას ნოველების კრებულს, ამას წინათ რომ გამოიცა მოსკოვში.

წერილი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, გამარამ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ორგანოს „ლიტერატურნაია გაზეტას“ თხოვნით დაწერა. წერილი დაიბეჭდა ამავე გაზეთის საოქტომბრო ნომერში.

პიერ გამარა,
ფრანგი მწერალი.

ბისაგან შექმნილი კომპოზიციები გვიჩვენა. კედელზე რუსთაველის სურათი ეკიდა და თითქოს ისიც უსმენდა მეგაღის საუბარს. გამოთხოვებისას მიხეილმა პატარა ქვევრი ამაჩუქა, ძველებური ქართული ქვევრის უმცირესი ვარიანტი. აი ის ახლაც წინ მიდევს ქაღალდებსა და წიგნებს შუა.

ამ წლების ტვირთით დამძიმებულ, მრავლისნახველ, მოკუზულ ხნიერ მებაღეს გარდასულ ბრძოლებზე ვესაუბრებოდი, ნანაც უმიწაწყლო გლეხთა ჭირვარამსა და ადამიანის მარჯვენის სიძლიერეზე ჩამოვარდებოდა სიტყვა. ვლაპარაკობდით იმ უამრავ ბაღზე, ადამიანებს რომ შეუძლიათ შექმნან, თუ ძმურად გაერთიანდებიან ყველანი.

ადამიანების ჭირვარამი ამ ქვეყანასავით ძველი ამბავია, ლიტერატურაც მეტყველებს ამას. ფრანგი პოეტი კრეტიენ დე ტრუა, რომელიც XII საუკუნეში ცხოვრობდა და ღირსია რონსარასა და ჰიუგოს ამოვუყენო გვერდით, თავის რომანში („ივენი, ანუ ლომის რაინდი“) ფეიქართა სიღატაკეზე ლაპარაკობს. ის ფეიქრებიო, ამბობს კრეტიენ დე ტრუა, აკოწკილნი, ნახევრად ტიტველნი რომ დადიოდნენ და „შიმშილისაგან შეშუხებულთ ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზე“, ოქრომკედითა და სირინთ ნაქარგ უმშვენიერეს ქსოვილებს ქმნიდნენო. ჩვენს ტახჯავა ბოლო როდის უნდა მოეღოსო, ჩივიან ქსლის მბეჭედელნი. ლიონელ ფეიქართა ცხობილ აჯანყებამდე ექვსი საუკუნით ადრე დასტირიან ისინი თავიანთ მონობას.

ვქსოვთ და მაინც ამ ქვეყნად დავალთ
შეუთოსელნი,
გულში ეცცხლი ანთია, იმ სანატრელ
დროს ველით —
ჩვენი მოქსოვილი და ჩვენი მოოქროვილი
ჩვენს ტანსაც რომ შემოსავს მოსატული
ქსოვილი.
ჩვენთვის მწარე სოფელი ზოგ-ზოგისთვის
ტკბილია,
ერთნი თუ იცინიან, უმეტესნი ტირიან.

მაგრამ თუ ჭირვარამი და ტანჯვანი ამ ქვეყნისათვის ძველთაძველი ამბავია, არც მწუხარების წინაღმდეგ ამბოხებაა ახალი. იმავე XII საუკუნეში მეორე დიდმა პოეტმა, ნორმანდიელმა ვასმა, აღწერა ღელეთა ომი, გლეხები მიწათმფლობელებს ეომებიან. ისინი ერთად შეიკრიბებიან და იძახიან:

განა დედის მუცლიდან დაგვყოლია
ტანჯვანი,
მერე გადაგვეღობა სიდუხჭირის არჯალი!
უნდა ერთად ვიაროთ, ერთი ფიქრით
ვიაროთ,
ამ ცოდვილ ქვეყანაზე ვეღარ დაგვაზიანონ.
ზღვის გუგუნად იქცევა ჩვენი ხმა და
ხმაური,
ჩვენი ოფლით გამაძღარს ჭრუანტელი
დაუვლის,
შიში ააწრიალებს და დაპკრელებს სხვა
ქარი,
თუკი ერთად მიაწყდა დამშეულთა
ლაშქარი.

გლეხები, იმ ბედნიერებაზე ფიქრით შეპყრობილნი, რომელიც ბრძოლით უნდა მოიპოვონ, ამასაც ამბობენ

მერე ჩვენი იქნება ტყეები და ველები,
ლამაზ გზას დავადგებით, ვივლით
შეუსვენებლივ,
როგორც ლაღი, ამაყი მთის ანკარა
წყარონი.
მაღალ სახლებს ავაგებთ, შევალთ
უსახლ-კარონი.
არა, ცუდად, ამაოდ არ მიდიან დღეები,
ხვალ სულ ჩვენი იქნება მთებიც,
მდინარეებიც.

ეს არის ძახილი, ძველთაძველი ძახილი, წარსულის შავი სიღრმიდან რომ მოისმის. ეს ბოლოს, მშრომელი ხალხის ძახილია: არა, ცუდად, ამაოდ არ მიდიან დღეები, ხვალ სულ ჩვენი იქნება მთებიც, მდინარეებიც.

ეს იმას ნიშნავს, რომ ტყეები, მდინარეთა ძალა და მადლმოსილი სიუხვე, ველ-მინდვრების ყვავილები და ნაყოფი დიღიდან საღამომდე მიწის ჩამაცქერალ შრომისმოყვარე ხალხს ეკუთვნის. მიწა იმას უნდა ჰქონდეს, ვინც ამუშავებს ამ მიწას. ფრანგები ამბობენ, თავის სახლში მენახშირეც უფროსია. შეიძლება ასეც ვთქვათ: თავის სახლში მებაღეც უფროსია. ეს არა მარტო თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ნიშნავს, არამედ შრომისათვის მიღებულ სამართლიან ჯილდოსაც.

აი რას ვფიქრობ ახლა, ოქტომბრის წლისთავის დღეს. ვინ მოთვლის, რამდენი მძიმე და წაგებული ომის მერე, რამდენი მილიონი მებაღის სიკვდილის მერე აღმობრწყინდა იმედისა და რწმენის ვარსკვლავი ისტორიის მრავალსაუკუნოვან ბნელ და სისხლიან გზაზე. აღმობრწყინდა და ჩაუქრობელი შუქით ანთია. მებაღე ხალხმა, თქვენმა ხალხმა, სამუდამოდ ამოუკვეთა ფეხი ბატონებსა და მრაგვრელებს. კაცობრიობის ისტორიაში პირველი იგი დაეუფლა ამ ტყეებსაც, მდინარეებსაც და ველ-მინდვრებსაც — თავიანი მიწა-წყლის მთელ სიმდიდრეს. ეს ხალხი გაეპასუხა პოეტებსაც, საუკუნეთა მანძილზე ლეგენდაციის ჭირვარამსა და ძველთაძველ ოცნებას რომ უმღეროდნენ. გაეპასუხა ვასს, კრეტიენ დე ტროას, რაბლეს, ჰიუგოს, რუსთაველს, ჯუშკინს. გაეპასუხა არა მარტო ყველა ჩაგრულისა და დასჯილის, ყველა მონის აჩრდილს, არამედ ყველა მოაზროვნესაც და მეხალარესაც, რომელნიც ყოველ დროსა და ეპოქაში ცდილობდნენ უპოვართა ჭირსახდელი გამოეხატათ.

კუბის პირველი ლიტერატურული ნაწარმოები, XVII საუკუნის დასაწყისის პოეტის სილვესტრ დე ბალბოას „მოთმინების სარეკ“ უმღერის ზანგს, კუბის დასაპყრობად მოსულ კორსარებს რომ ებრძვის. ის ზანგი ბალბოასა წარმოდგენილი ჰყავს გმირად, რომელიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ლაშქარს შეუერთდა. ოქტომბრის სხივმადლიანი ვარსკვლავი, საბჭოთა ქვეყანაში ყველა ხალხის ერთობა რომ დაამკვიდრა კანის ფერის მიუხედავად, პოეტ ბალბოასაც გაეპასუხა. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ დღევანდელი თავისუფალი კუბა ამ ზანგსაც აფასებს და ამ ვარსკვლავსაც. ასეთია თავისუფლებისა და სამართლიანობის ლოგიკა.

არც ის არის შემთხვევითი, რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს შევხვდი მოხუც მებაღეს მიხეილ მამულაშვილს, რომელსაც თავს ურჩევნია ყვავილები. საქმე ეს კერძო ამბავი როდია. ოქტომბრის რევოლუციის ქვეყანაში თავიანთ ნაამაგარს თვითონ იმკიან ადამიანები — მებაღეები ხორბლისა და ტყისა, მებაღეები აგურისა და ცემენტისა, მებაღეები აზრისა, მებაღეები ციხა, კოსმონავტების გზა ზღაპრული და თანაც ნამდვილი ვარსკვლავებით რომ მოუფენიათ.

თქვენზე ძალიან ბევრს ვფიქრობთ, ძმებო მებაღეებო! ჩვენცა გვაქვს ბაღები, რომლებიც უნდა შევინარჩუნოთ და მოვიპოვოთ ჩვენი ხალხის ყველა მებაღისათვის.

თქვენი ვარსკვლავის წყალი უკვე გადაგვესხა!

პარიზი.

შემთხვევები

სამი მამაცი

რიაზანი. მილიციის მუშაკებმა ს. კალინინმა, პ. ბოგოიავლენსკიმ და ვ. ურუსკინმა თავიანთი სიცოცხლის რისკის გაწევით დამსხვრევას გადაარჩინეს სამგზავრო მატარებელი.

აი როგორ მოხდა ეს. რკინიგზის გადასასვლელზე მიდიოდა ავტომანქანა, რომელსაც ბუქსირით მიჰყავდა მძიმე უწესივრო ვაგონსაცლელი. ამ დროს გაისმა გაფრთხილების სიგნალი: ამ წუთს ავტომატური შლაგბაუმი დაიხურება, მატარებელი მოდის! შოფერმა დაიპირა გადასვლა მატარებლისთვის, გზს მოუმატა, სიჩქარეს უმატა და... ამ დროს გგარლი გაწყდა, უწესივრო ვაგონსაცლელი რელსებზე დარჩა. მოსახვევიდან კი მოახლოებული მატარებლის ხმაური ისმოდა.

რაღაც ბედად, შლაგბაუმთან ამ დროს მოვიდა მილიციის „პობედა“. რელსებზე ვაგონსაცლელი რომ დაინახეს, უფროსი ლეიტენანტები ს. კალინინი და პ. ბოგოიავლენსკი, უმცროსი სერჟანტი ვ. ურუსკინი „პობედიდან“ გადმოხტნენ და შეუდგნენ სატვირთო მანქანის გადაგორებას ლიანდაგიდან. მათ შეუერთდა ახლოს მყოფი კიდევ რამდენიმე კაცი.

...წამები გარბოდა. გრიალით მოჰქროდა მატარებელი. იგი რომ დაინახეს, მილიციელთა შემთხვევითი დამხმარენი გაიქცა-გამოიქცნენ. და მხოლოდ მილიციელის ფორმით გამოწყობილი სამი კაცი არ შედრკა. აი უკვე ჩაღუნვა იწყეს რელსებმა. უზარმაზარი ელმავალი სულ რამდენიმე მეტრზეა! და არაადამიანური დაძაბვით, კატასტროფამდე რამდენიმე წამით ადრე, სამმა ვაჟკაცმა თვითსაცლელი ლიანდაგიდან გადაადგილა. ჰაერის ჭაელმა თითქოს შეტრუსა მამაცები — სამგზავრო მატარებელმა მუხრუჭების ამაო ღრჭიალით ჩაუქროლა მათ. მან გაჩერება შეძლო მხოლოდ მაშინ, როცა გადასასვლელზე უკვე უქანასკნელის წინა ვაგონი იყო.

ასე გადაარჩინა მილიციის სამმა მამაცმა მუშაკმა ასობით ადამიანი.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): პ. ბოგოიავლენსკი, ს. კალინინი და ვ. ურუსკინი შემთხვევის ადგილას.

ფოტო გ. უდალცოვისა (საკ. ფოტოქრონიკა)

ბრძოლის ორი ტაქტიკა

უკანასკნელ ორ საფეხბურთო სეზონში დინამოცკელ ფეხბურთელთა სპორტული ხადავლი კოლოსალურია. იყო ორჯერ ზედიზედ სსრ კავშირის თასის მფლობელი, ცხადია არც შემთხვევითობას მიეწერება და არც „ბედის“ გაღიმებას. ეს არის მტკიცე, შეკრული კოლექტივი, რომელსაც გამომუშავებული აქვს ბრძოლის გარკვეული, ძალისმიერი, დაცვითი ტაქტიკა.

თბილისის „დინამო“ კი ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა თავის ტექნიკური არსენალით და თამაშს სწორედ ამ ეფექტურ, ბასრ იარაღზე აგებს.

თუ ასეთი თვალსაზრისით მივუდგებით ამ ორი კოლექტივის გუშინდელ შეხვედრას, სამე გვექნება ორი სხვადასხვა ყაიდის გუნდთან, თამაშის ორ სხვადასხვა ტაქტიკასთან.

სტუმრებს ამჯერადაც არ უღალატნიათ თავიანთი ტრადიციისათვის, დაცვითი სქემისათვის, თუმცა ამან მათ სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. მე-5 წუთზე კუთხური კარგად გამოიყენეს დათუნაშვილმა და იამანიძემ, რის შემდეგ დინამოელთა კაპიტანმა კარგად ჩაჭრა ბურთი კარის გასწვრივ, სადაც კალოევს შესანიშნავი პოზიცია ეჭირა და არც დაუყოვნებია — დარტყმა, „შახტიორის“ კარი „აღებული“ აღმოჩნდა.

სტუმრთა ძალისმიერ კონტრთამაშს უხეშობაც დაერთო, დათუნაშვილი, ბარქაია, გ. სიჭინავა, არა ერთხელ აღმოჩნდნენ სნეგირევისა და გოლოგაკოს „მარწუხებში“.

ერთ-ერთ მომენტში (მე-20 წუთი) მასპინძელთა კარი ორჯერ გადაურჩა გოლს. მალე „შახტიორის“ ეს ტაქტიკაც იზოლირებული აღმოჩნდა, დინამოელთა გაანზრებულმა კომბინაციებმა მაღალ ტემპთან შერწყმით სასწორი მათ მხარეზე გადახარა. აქტიურად მოქმედებდა თავდასხმელთა მარცხენა ფრთა დათუნაშვილის მეთაურობით. მას კუთხურების საუკეთესო ჩაწოდებისათვის „ლობანოვსკი № 2“-ც კი შეარქვეს.

ტაიმის შედეგი იყო 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში სურათი ნაწილობრივ შეიცვალა. მიუხედავად მცველთა შესანიშნავი თამაშისა, თბილისელთა კარი აშკარა მუქარის ქვეშ აღმოჩნდა. დინამოელები ორჯერ გადაურჩნენ ხიფათს, ერთხელ კი ძელმა იხსნა ისინი. სჩანს სტუმრებს განზრახული ჰქონდათ დინეკის სურათის (1:1) განმეორება და იქნებ... მაგრამ 27 წუთზე დათუნაშვილის მიერ კუთხურიდან კარგად ჩაწოდებულ ბურთს მისწვდა გ. სიჭინავა და თავური დარტყმა გოლით დაადგირგვინა.

ამ ბურთმა ფაქტიურად გადაწყვიტა მატჩის ბედი. დინამოელებმა მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვეს, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

საინტერესოა ვიცოდეთ მწვრთნელთა აზრები. აი რა განაცხადეს მათ:

ო. ოშენკოვი — დინამოელები უკეთესად თამაშობდნენ ვიდრე დინეკცში, ისინი გვჯობნიდნენ სისწრაფეში, ტაქტიკაში. რა გაეწყობა, შემიძლია მივულოცო მათ დამსახურებული გამარჯვება.

ბ. იაკუშინი — ეფიქრობ, რომ მაყურებლები კმაყოფილი იქნებიან თანამემამულეთა მონდომებული თამაშით. მეტოქეს მეტად უნდა ეზრუნა იერიშებისათვის, კორექტული თამაშისათვის.

ვ. გაბელია.



ვაზი და ქაღიშვილი

შემოდგომა არჩევს ფერებს კოშჩატიკის დასახატავად...

შორს არის ცისფერი ალაზანი და კახეთი — დედა ვაზისა.

ქარები ქრიან და წაბლები მღერიან
წვიმაშია... მიდელავს დნეპრი და ალაზანთან ერთად ერთ საფიქრალს ფიქრობს...

დნეპრზე ერთმანეთს ესალმებიან თეთრი ხომალდები „საქართველო“ და „უკრაინა“ და აღვიძებენ შორეულ ზართა ეკოს. გემების ხმასა და ზართა რეკვაში არის დიდი და ენით გამოუთქმელი გრძნობა, მინდიას ყურით მოსასმენი და პოეტის თვალით დასანახავი.

...შეეჩეხოს ბულვარის ალვისხეები ეხვევიან რუსთაველის ქუჩის ცაცხვებსა და ჭადრებს.

წვიმს რუსთაველის ქუჩაზე და მღერიან ვაზები მზის საგალობელს. კიევში ხარობს რქაწითელი რუსთაველის ქუჩაზე!

დილით, ვეებერთელა მზე რომ ამოვა დნეპრზე, რუსთაველის ქუჩის სახლების ფანჯრებში ქართული ვაზი შეიხედავს. და ჩუმად, ბუთხუზა ბავშვები რომ არ გააღვიძოს, ეტყვის უკრაინულ ოჯახს.

— დილა მშვიდობისა!

დნეპრიდან მოფრინდებიან თეთრი მტრედები და ქართულ ვაზზე ჩამოსხდებიან.

მზე, მტრედი და ვაზი „სამაიას“ უვლიან უკრაინული ოჯახის ფანჯარასთან ცისკრის ჟამს.

რუსთაველის ქუჩას თოლიებივით მოედებიან ქალიშვილთა გუნდები.

ილება ფანჯრები.

ქერა ქალიშვილი ვაზს და მტრედს ეალერსება, მზეს ესალმება. უკრაინელი ქალიშვილი და ქართული ვაზი!.. ქალიშვილის ყელს ეხვევა ვაზის ლერწი.

ვაზს რქაწითელი ჰქვია, ქალიშვილი — ოქსანაა, გვარად — კვიტკო. კვიტკო — ყვავილს ნიშნავს უკრაინულად. ოქსანა აგრონომ-დეკორატორი ქალიშვილია და საყვარელი კიევის ვარდებსა და ვაზებს დაჰხარის.

ვაზი თითქოს გრძნობს ქალიშვილის მთრთოლვარე ხელის შეხებას, ქალწულის სუნთქვას...

დაისის ჟამს რქაწითელის თალარი ბოლოდ ბოლოს ფერებს კოშჩატიკის დასახატავად.

ვ. ალფენიძე.

კიევი.

ლირიკული ჩანახატი

ბოლოს, ორი ფაქტიკა



ბ. ოშენკოვი — დინამოელები უკეთესად თამაშობდნენ ვიდრე დინეკცში, ისინი გვჯობნიდნენ სისწრაფეში, ტაქტიკაში. რა გაეწყობა, შემიძლია მივულოცო მათ დამსახურებული გამარჯვება.

ბ. იაკუშინი — ეფიქრობ, რომ მაყურებლები კმაყოფილი იქნებიან თანამემამულეთა მონდომებული თამაშით. მეტოქეს მეტად უნდა ეზრუნა იერიშებისათვის, კორექტული თამაშისათვის.

ვ. გაბელია.

გათამაშების ცხრილი

პირველი ფინალური ჯგუფი

მდგომარეობა 11 ნოემბრისათვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მ.)	12	4	4	33—18	28
„დინამო“ (მ.)	10	8	2	26—11	28
„დინამო“ (თბ.)	9	8	3	27—18	26
„დინამო“ (კ.)	8	8	4	34—24	24
ცსკა	8	7	5	22—17	23
„ტორპედო“ (მ.)	7	7	6	32—23	21
„პახტაკორი“ (ტ.)	8	5	7	22—29	21
„შახტიორი“ (დ.)	7	6	7	22—22	20
სკა (როსტ.)	8	8	9	21—36	14
„ზენიტი“ (ლ.)	4	5	11	27—31	13
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	2	9	9	17—37	13
„მოლდოვა“ (კიშ.)	2	5	13	15—32	9

მატჩები და შედეგები

გუშინ შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. პირველი ფინალური ჯგუფის გუნდებმა გამართეს მეათე ტურის შეხვედრები, ხოლო მეორე ფინალური ჯგუფის კოლექტივებმა — უკანასკნელი მატჩები.

პირველი ფინალური ჯგუფი

მეათე ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა მატჩი უკრაინის დედაქალაქში სსრ კავშირის ჩემპიონის კიევის „დინამოსა“ და გათამაშების ლიდერის მოსკოვის „დინამოს“ შორის. შეხვედრის შედეგი 1:0 კიეველთა სასარგებლოდ.

მოსკოვში თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დედაქალაქის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივები. შეჯიბრება დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით 3:1.

ტაშკენტის „პახტაკორი“ თავის მოედანზე შეხვდა კიშინიოვის „მოლდოვას“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩის შედეგია 2:1 ბაქოელთა სასარგებლოდ.

მეორე ფინალური ჯგუფი

ალმა-ატაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კაირატისა“ და ლენინგრადის „დინამოს“ გუნდები გაიმარჯვა „კაირატმა“ 2:1.

ერევნის „სპარტაკისათვის“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელ მატჩს კუბიშევის „კრილია სოვეტოვთან“. შეხვედრა მოიგეს სპარტაკელებმა 4:1.

ვილნიუსის „ჟალგირისი“ თავის მოედანზე შეხვდა მინსკის „ბელარუსის“ გუნდს და დამარცხდა 1:2.

მატჩი ხარკოვში ადგილობრივი „ავანგარდისა“ და რიგის „დაუგავის“ გუნდებს შორის დამთავრდა „ავანგარდის“ გამარჯვებით 3:0.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ



12 ნოემბერი

პირველი პროგრამით

08.15 —